სამაგისტრო პროგრამის დასახელება: ზოგადი ფონეტიკა - ფონოლოგია

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ენათმეცნიერების მაგისტრი (MA in Linguistics)

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნათელა ქუთელია

სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:
ა) პროგრამის მიზანი: სამაგისტრო პროგრამა განკუთვნილია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხის მქონე სტუდენტთათვის, რომელთა ინტერესის სფეროსაც წარმოადგენს ენათმეცნიერების მნიშვნელოვანი დარგი _ ზოგადი ფონეტიკა-ფონოლოგია და სურთ საკუთარი ცოდნის გაღრმავება ამ განხრით. პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს საფუძვლიანი განათლება ზოგად ენათმეცნიერებაში და მის ფუნდამენტურ დარგში – ზოგად ფონეტიკაში.

XX საუკუნემ განსაკუთრებული როლი ითამაშა ლინგვისტიკის, როგორც მეცნიერების განვითარებაში. «ფონემისა» და «მორფემის», როგორც აბსტრაქტულ ერთეულთა, ახლებურმა გაგებამ საშუალება მისცა ენათმეცნიერებს, შეისწავლონ ენაში არსებული სხვადასხვა იერარქიული დონეები. «ფონემა» და «მორფემა», როგორც ენის იერარქიული ერთეულები, ქმნიან რეალურ ენობრივ სტრუქტურებს ენობრივი იერარქიის სხვადასხვა დონეზე, რომელთა ურთიერთმიმართება აყალიბებს ენას, როგორც სისტემის მთლიანობას.

ზოგადი ფონეტიკა ემყარება კონკრეტულ ენათა ფონეტიკას, მაგრამ, ამავე დროს, სცილდება კონკრეტულად მოცემულ ენათა ბგერითი ფორმის ფარგლებს. განიხილება საკითხი: არსებობს თუ არა ზოგადი ფუნქციონალური ფონეტიკა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველი კონკრეტული ენის სამეტყველო ბგერადობა ფუნქციონალურად განსხვავებულია ყოველი სხვა ენის სამეტყველო ბგერადობისაგან, საბუთდება, რომ ზოგადი ფონეტიკა განსხვავდება კერძოსაგან როგორც თემატიკურად, ისე საკითხთა განხილვის მოცულობით. სამაგისტრო პროგრამა ცხადყოფს ფონოლოგიური სტრუქტურის განპირობებულობას ენაში მოქმედი ფონეტიკური პროცესებით და ე. წ. ფონეტიკური ტენდენციებით. საფუძვლიადან შეისწავლება ფონეტიკის ძირითადი საკითხები: წარმართავენ თუ არა ფონეტიკური კანონები მოცენული ენის ენის ფონოლოგიური მოდელის ჩამოყალიბებას; განსაზღვრავს თუ არა ფონეტიკური და ფონოლოგიური ასპექტების თანაჟამიერი მოქმედება ენის ფონემატურ სტრუქტურას; დაწვრილებით განიხილება კოარტიკულაციის მოქმედება: ენის ფონოლოგიური მოდელის ცვლა და ფონეტიკური ტენდენციები, რომელთა დინამიკაც სცილდება კოარტიკულაციურ ქმედებათა სფეროს და გლობალურია ენისათვის; ფონეტიკური პროცესები და ფონეტიკური ტენდენციები და მათი ფონოლოგიზირებული შედეგები; ფონეტიკური ცვლილებები და ეკონომიის პრონციპი; ენის ფონემატური სისტემა _ პარადიგმატიკა და სინტაგმატიკა; ანლაუტისა და აუსლაურის სტრუქტურის ტრადიციული სქემა და მისი დაზუსტება თანამედროვე ლინგვისტიკის შედეგების გათვალისწინებით; უნივერსალური ფონეტიკური კანონები და მათი მოქმედების შეზღუდულობა დროით, სივრცით ან სხვა კანონის ჩარევით; ფონოლოგიური სისტემის დიაქრონიული ტრანსფორმაცია.

სტუდენტი თავისუფალია ენათა არჩევანში, ეს დამოკიდებულია მის ინტერესზე. პროგრამა არ არის შეზღუდული კონკრეტული ენის ფარგლებში, თუმცა

სასურველია, რომ მის სამუშაო სფეროს წარმოადგენდეს იბერიულ-კავკასიური, ინდო-ევროპული, თურქულ-ალთაური, სემიტური ან წინა აზიის მკვდარი ენები: შუმერული, ურარტული, ხეთური, აქადური, ეგვიპტური და ა. შ.

ბ) სწავლის შედეგები: სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია მაგისტრანტის თეორიული ცოდნით შეიარაღებაზე და ფონეტიკის პრაქტიკული მხარეს გამოავლენს თავისივე შერჩეული ენის მაგალითზე: შეძლებს გამოყოს უმცირესი ლინგვისტური ერთეული – ფონემა, ჩაატარებს ლინგვისტურ პროცედურებს და წარმოაჩენს ენის ფონემათა პარადიგმატულ და სინტაგმატურ მიმართებას – ფონოტაქტიკას; გამოიკვლევს ენაში მოქმედ ბგერათშეერთების წესებს და მათ შედეგად ჩამოყალიბებულ ფონემატურ სინტაგმებს, რომელთაც ხშირი რეალიზაცია აქვს ენის ლექსიკური წარმოებისას. მაგისტრანტი გამოიკვლევს ფონეტიკურ პროცესებს, კოარტიკულაციასა და მასთან დაკავშირებულ შიდა და გარე სანდჰის კანონთა მოქმედებას, რომლის ზეგავლენის შედეგებიც ასახულია ენის მორფოლოგიურ სისტემაზე.

გ) დასაქმების სფეროები: სამაგისტრო პროგრამის ათვისების შემდეგ ახალგაზრდა სპეციალისტს შეეძლება იმუშაოს:

- ჰუმანიტარული პროფილის სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებში,
- სამედიცინო დაწესებულებებში _ ლოგოპედად,
- მასმედიაში,
- არქივში,
- მუზეუმებში,
- საგამომცემლო დაწესებულებებში,
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში (პედაგოგიკაში სათანადო კრედიტების მიღების შემდეგ),
- ბიბლიოთეკებში.

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხი;
- ერთიანი სამაგისტრო გამოცდა;
- გამოცდა სპეციალობაში

სწავლის გაგრძელების საშუალება: უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე **PHD** (დოქტორანტურაში) სწავლის გაგრძელების მსურველ მაგისტრს უფლება ექნება სწავლა განაგრძოს ზოგადი ენათმეცნიერებისა და მომიჯნავე სპეციალობების სადოქტორო პროგრამებზე ნებისმიერი ქვეყნი უმაღლეს სასწავლებელში შესაბამისი სპეციალობით.

7. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა:

<u>სავალდებულო საგნები</u> 75 კრედიტი

1. ზოგადი ფონეტიკა – 5 კრ
2. ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა _ 5 კრ
3. ენათმეცნიერების პროპედევტიკული კურსი– 5 კრ
4. იბერიულ-კავკასიურ ენათა შედარებითი ფონეტიკა – 5 კრ
5. ინდო-ევროპულ ენათა შედარებითი ფონეტიკა – 10 კრ
6. თეორიული ფონეტიკა – 5 კრ
7. ფონოტაქტიკა და ფონეტიკური კანონის მოქმედება დროსა და სივრცეში – 5 კრ
8. თეორიული ენათმეცნიერება – 5 კრ
9. კოლხურის ფონემატური სტრუქტურა – 5 კრ
10. ძველი ქართული ენა – 10 კრ
11. ერთ–ერთი აღმოსავლური, ევროპული, კავკასიური ენა – 15 კრ

შენიშვნა: <u>15 კრედიტის</u> ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის მისთვის სასურველ ენას, რომელზეც იგი სამეცნიერო გამოკვლევას აწარმოებს. მისი არჩევანი შეთანხმდება შესაბამისი სამაგისტრო პროგრამის ხელმძრვანელთან. სტუდენტს არჩევითი საგნების ფარგლებში მიეცემა საშუალება აირჩიოს იმ ენის მონათესავე ენათა შედარებითი გრამატიკა, რომელსაც იგი 15 კრედიტით შეისწავლის.

სპეციალობის არჩევითი საგნები _ 15 კრედიტი

1. ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება – 5 კრ
2. ექსპერიმენტული ფონეტიკა – 5 კრ
3. ერთ-ერთი იბერიულ-კავკასიური ენა – 10 კრ
4. ფონოტაქტიკის წესები იბერიულ-კავკასიურ ენებში – 5 კრ
5. უბიხური ენა – 5 კრ
6. რუსული ენის პრაქტიკული გრამატიკა – 5 კრ
7. რუსული ენა - 10კრ
8. ხათური ენა _ 5 კრ
9. ხეთური ენა _ 10 კრ
10. ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა – 5 კრ
11. სემიტურ ენათა შედარებითი გრამატიკა _ 5 კრ
12. ერთ-ერთი სემიტური ენა _ 10 კრ
13. ირანულ ენათა შედარებითი გრამატიკა _ 5 კრ
14. ერთ-ერთი ირანული ენა _ 10 კრ
15. რომანულ ენათა შედარებითი გრამატიკა _ 5 კრ
16. ერთ-ერთი რომანული ენა _ 10 კრ
17. სლავურ ენათა შედარებითი გრამატიკა _ 5 კრ
18. ერთ-ერთი სლავური ენა _ 10 კრ
19. თურქულ ენათა შედარებითი გრამატიკა _ 5 კრ
20. ერთ-ერთი თურქული ენა _ 10 კრ
21. ლათინური ენა _ 10 კრ
22. ძველი ბერძნული ენა _ 10 კრ

23. ძველი სომხური ენა – 10 კრ

9. კვლევითი კომპონენტი

მაგისტრანტს შეუძლია სამაგისტრო ნაშრომის შერჩევა შემდეგი თემატიკის ფარგლებში:

1. სინქრონიული და დიაქრონიული ფონეტიკა
2. შედარებითი ფონეტიკა

10. სამაგისტრო პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

სასწავლო-კვლევით ბაზად გამონებული იქნება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აუდიტორიები, ზოგადი და შედარებითი ენათმეცნიერებისა და ფონეტიკის ინსტიტუტის, არნოლოდ ჩიქობავას, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკები და არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსიტიუტის ბიბლიოთეკა.

ზოგადი ფონეტიკა-ფონოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

	საგნის დასახელება	საგნის სტატუსი	კრედიტების საერთო რაოდენობა
1.	ზოგადი ფონეტიკა	საკომპეტენციო	5
2.	პროპედევტიკული ენათმეცნიერება	საკომტეპენციო	5
3.	იბერიულ-კავკასიურ ენათა შედარებითი ფონეტიკა	საკომპეტენციო	5
4.	ინდო-ევროპულ ენათა შედარებითი ფონეტიკა	საკომპეტენციო	10
5.	ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა	საკომპეტენციო	5
6.	თეორიული ლინგვისტიკა	სავალდებულო	5
7.	ერთ-ერთი ენა	სავალდებულო	15
8.	კოლხურის ფონემატური სტრუქტურა	სავალდებულო	5
9.	ძველი ქართული ენა	სავალდებულო	10
10.	თეორიული ფონეტიკა	სავალდებულო	5
11.	ფონოტაქტიკა და ფონეტიკური კანონის მოქმედება დროსა და	სავალდებულო	5

	სივრცეში		
	არჩევითი საგნები		**15 კრედიტი**
12.	ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება	არჩევითი	5
13.	ექსპერიმენტული ფონეტიკა	არჩევითი	5
14.	ერთ-ერთი იბერიულ-კავკასიური ენა	არჩევითი	10
15	ფონოტაქტიკის წესები იბერიულ-კავკასიურ ენებში	არჩევითი	5
16	უბიხური ენა	არჩევითი	5
17	რუსული ენის პრაქტიკული გრამატიკა	არჩევითი	5
18	რუსული ენა	არჩევითი	10
19	ხათური ენა	არჩევითი	5
20	ხეთური ენა	არჩევითი	10
21	ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა	არჩევითი	5
22	სემიტურ ენათა შედარებითი გრამატიკა	არჩევითი	5
23	ერთ-ერთი სემიტური ენა	არჩევითი	10
24	ირანულ ენათა შედარებითი გრამატიკა	არჩევითი	5
25	ერთ-ერთი ირანული ენა	არჩევითი	10
26	რომანულ ენათა შედარებითი გრამატიკა	არჩევითი	5
27	ერთ-ერთი რომანული ენა	არჩევითი	10
28	სლავურ ენათა შედარებითი გრამატიკა	არჩევითი	5
29	ერთ-ერთი სლავური ენა	არჩევითი	10
30	თურქულ ენათა შედარებითი გრამატიკა	არჩევითი	5
31	ერთ-ერთი თურქული ენა	არჩევითი	10
32	ლათინური ენა	არჩევითი	10
33	ძველი ბერძნული ენა	არჩევითი	10
34	ძველი სომხური ენა	არჩევითი	10
	სამაგისტრო ნაშრომი	**სავალდებულო**	**30**
	სულ		**120**

საგამოცდო ბილეთის სტრუქტურა და შეფასება ქულებში

გამოცდა ჩტარდება თეორიულ ენათმეცნიერებაში წერითი სახით და შეფასდება 100 ქულით.

საგამოცდო საკითხები:

I.

1. ენა როგორც ენათმეცნიერების საგანი
2. ენის ფუნქციები
3. ენის რაობის საკითხი XIX-XX საუკუნეების ენათმეცნიერებაში და ენათმეცნიერების ობიექტის დადგენის ცდა. ვილჰელმ ფონ ჰუმბოლტი – თეორიული ლინგვისტიკის ფუძემდებელი; ფრანც ბოპი და ნეოგრამატიკოსები; ფერდინანდ დე სოსიური, ლუი ჰიელმსლევი, ნიკოლოზ ტრუბეცკოი, რომან იაკობსონი და პრაღის სტრუქტურალიზმი; ლეონარდ ბლუმფილდი და დესკრიპტიული ლინგვისტიკა; ნაუმ ჰომსკი და ტრანსფორმაციულ–გენერატორული გრამატიკა.
4. ობიექტი ენა და მეტაენა
5. ენისა და მეტყველების დიქოტომია (Langage, Langue, Parole)
6. ენა როგორც ნიშანტ სისტემა. ენათმეცნიერება და სემიოტიკა. „ღირებულების“ ცნებისათვს ენობრივ სისტემაში.
7. ენა როგორც სასრული სისტემა. ენობრივი სისტემის დუალობა და პროდუქტულობა
8. ენა როგორც აბსტრაქტული კატეგორიების უნივერსალური სტრუქურა
9. სინქრონიული და დიაქრონიული ენთმეცნიერება.
10. ენა როგორც სისტემათა სისტემა

II.

1. ენა როგორც იერარქიული სტრუქტურა. ენობრივი დონეების ურთიერთმიმართება
2. ბგერა და ფონემა. ფონეტიკა და ფონოლოგია - ახვლედიანის კონცეფცია
3. მიმართებათა ძირითადი სახეობანი (ჰომორგანული-ჰეტერორგანული, ჰომოგენური - ჰეტეროგენური). პარადიგმატიკა და სინტაგმატიკა
4. თანხმოვანთა პარადიგმატული სისტემა: სამეულები, წყვილეულები და ცალეულები. სერიები და ლოკალური რიგები
5. ხმოვანთა სისტემა გამოსახული გეომეტრიული სამკუთხედით. სამკუთხედის პრინციპის ახსნა.
6. სინტაგმატიკა. კოარტიკულაცია – პალატალიზაცია, ველარიზაცია, ნაზალიზაცია, ლაბიალიზაცია პოზიციური და ფონოლოგიური ღირებულების.
7. ფონოტაქტიკა და ფონემათა შეერთების უნივერსალური წესები I, II, III; A და B სისტემის ჰარმონიულ კომპლექსთა აგების პრინციპი და B სისტემის პირვანდლი სახის რეკონსტრუქცია (გ.ახვლედიანი – ჯ.როგავა).
8. დიაქრონიული ფონოლოგია; უმლაუტი. კომბინატორული და სპონტანური ფონემური ცვლილებები.

9. ფონეტიკური კანონები და ფონეტიკური ტენდენციები. კანონის შეზღუდულობა დროითა და სივრცით; სხვა კანონის ჩარევა. სამი უნივერსალური კანონი: პალატალობის, ველარობის და ლაბიო–ველარიზაციის.
   1. 10./ მორფოლოგია, მორფოლოგიური ანალიზის პრინციპები. მორფემა და ალომორფი.
10. აფიქსთა სისტემატიზაცია ადგილისა და ფუნქციის მიხედვით. აფიქსთა მაგივრობის გამწევი საშუალებანი.
11. სემანტიკური ანალიზის პრინციპები და სიტყვა როგორც ისტორიულად ცვალებადი კატეგორია. სემანტიკური ველების თეორია.
12. სინტაქსი. წინადადების აქტანტური სტრუქტურა
13. ენათა გენეალოგიური და მორფოლოგიური კლასიფიკაციის პრინციპები.

ლიტერატურა:

1. არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, II, თბ., 1983
2. გ. ახვლედიანი, ზოგადი და ქართული ფონეტიკის საკითხები, 1949, 1999
3. თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბილისი, 2003
4. ენათმეცნიერების შესავლის საკითხები, გ. ახვლედიანის რედაქციით, თბილისი, 2003 (მეორე გამოცემა)
5. გ. ნებიერიძე, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 2003
6. ტ.გუდავა, თ.გამყრელიძე თანხმოვანთა კომპლექსები მეგრულში („აკაკი შანიძეს“, თბილისი, 1981)
7. თ. გამყრელიძე, დეზაფრიკატიზაცია სვანურში „გადაწერის წესები“, დიაქრონიული ფონოლოგია, თბ., 1968
8. გ. მაჭავარიანი, საერთო ქართველური კონსონანტური სისტემა, თბ., 1965
9. ნ. ქუთელია, ლაზურის ფონემატური სტრუქტურა, თბილისი, 2005

კონსულტაციისათვის მიმართეთ პროგრამის ხელმძღვანელს პროფესორ ნათელა ქუთელიას ტელ: 22-15-28. მობ: 855625332. კონსულტაციის დრო განუსაზღვრელია.